



საარჩევნო სიახლენი

(16 ოქტომბერი - 1 ნოემბერი)

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (შემდეგში „სამართლიანი არჩევნები“) აგრძელებს წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს 2008 წლის 3 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის. „სამართლიანი არჩევნები“ ელექტრონული ბიულეტენის „საარჩევნო სიახლენის“ მეორე გამოშვებაში წარმოგიდგენთ მონიტორინგის შედეგებს 2008 წლის, 1 ნოემბრისთვის არსებული მონაცემებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები

დამკვირვებელთა რეგისტრაცია

საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით, კერძოდ საქართველოს ორგანული კანონის - „საქართველოს საარჩევნო კოდექსისა“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის - „აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ მიხედვით, არჩევნების პროცესებზე დაკვირვების უფლება აქვს ნებისმიერ ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციას, რომელიც აკმაყოფილებს საარჩევნო კანონით დადგენილ პირობებს და რეგისტრაციას გაივლის საარჩევნო ადმინისტრაციაში.

1 ნოემბრის მონაცემებით აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისათვის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირდა თოთხმეტი საერთაშორისო ორგანიზაცია. ესენია:

1. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი;
2. ბრიტანეთის საელჩო საქართველოში;
3. საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი;
4. საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაცია „IFES-საქართველო“.
5. ევოპის საბჭო;
6. ევროკავშირი;
7. ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების კონგრესი;
8. ამერიკის საელჩო;
9. ჩეხეთის რესპუბლიკის პარლამენტის წარმომადგენლები;
10. ყაზახეთის რესპუბლიკის საელჩო;
11. სლოვაკეთის პარლამენტის კანცელარიისა და ლიტვის პარლამენტის საერთაშორისო დამკვირვებლები;
12. კანადის საელჩო თურქეთის რესპუბლიკაში;
13. აზერბაიჯანის საელჩო საქართველოში;
14. უკრაინის საკონსულო ბათუმში.



სამართლიანი არჩევნები

რაც შეეხება ადგილობრივ დამკვირვებლებს, უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გაიარა ცხრა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ:

1. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება;
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
3. სიმართლისა და სამართლის, ჩაგრულთა და პატიმართა უფლებების დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია;
4. მიუსაფართა და პატიმართა დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საერთაშორისო ორგანიზაცია;
5. ახალგაზრდა ჟურნალისტთა ასოციაცია;
6. ახალი თაობა - ახალი ინიციატივა;
7. ფონდი „სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი“;
8. საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“;
9. სამართლებრივი განვითარების საზოგადოება.

საარჩევნო ადმინისტრაცია

უმაღლესი საარჩევნო კომისიის მონიტორინგი

„სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლები წინასაარჩევნო პერიოდში აგრძელებენ საარჩევნო ადმინისტრაციის სამივე დონის მონიტორინგს, აკვირდებიან თუ რამდენად კანონის დაცვითა და დადგენილ ვადებში ხორციელდება საარჩევნო გრაფიკით გათვალისწინებული დონისძიებები.

მონიტორინგის პერიოდში უმაღლეს საარჩევნო კომისიაში გაიმართა კომისიის ორი სხდომა. სხდომები ძირითადად მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა. უმაღლესი საარჩევნო კომისია გრაფიკის გათვალისწინებით ფუნქციონირებს.

კვლავ პრობლემატურია უმაღლესი საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებს ჩაუტარდათ ტრენინგი თავიანთი ფუნქციებისა და მოვალეობების შესახებ, ისინი მაინც ვერ ახერხებენ სრულყოფილი და შესაბამისი ინფორმაციის განთავსებას უსკო-ს ვებ-გვერდზე.

მონიტორინგის პერიოდში, კერძოდ 28 ოქტომბერს საარჩევნო ადმინისტრაციამ დაიწყო საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვა. გადაწყვეტილი იყო საარჩევნო ბიულეტენების თბილისში ბეჭდვა, რომელსაც ზედამხედველობას გაუწევდა ცენტრალური საარჩევნო კომისია. შესაბამისად, 28-30 ოქტომბერში ბიულეტენები დაიბეჭდა თბილისში და 31 ოქტომბერს დაბეჭდილი ბიულეტენები გადაეცა უმაღლეს საარჩევნო კომისიას. „სამართლიანი არჩევნების“ აკრედიტირებული დამკვირვებელი დააკვირდა საარჩევნო ბიულეტენების ბეჭდვას.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მონიტორინგი

არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-15 დღისა¹, გამონაკლის შემთხვევაში შეიქმნა საარჩევნო უბნები. კერძოდ: # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქში შეიქმნა # 75 საარჩევნო უბანი; # 81 ქობულეთის საარჩევნო ოლქში - # 63 საარჩევნო უბანი; # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში # 50, # 65 და # 66 საარჩევნო უბნები.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ წინასაარჩევნო პერიოდში # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელი, რომელსაც ევალუბოდა მეთვალყურეობა და შესაბამისი კონსულტაციების გაწევა ოლქისათვის, ამკარად ამეტებდა თავის უფლებამოვალეობებს და ერეოდა კომისიის საქმიანობაში. იგი ასევე ამკარად მიუთითებდა დამკვირვებლებს (“სამართლიანი არჩევნების” წარმომადგენლებს) თუ რა ინფორმაციის მიღების უფლება ჰქონდათ ან არ ჰქონდათ მათ.

ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმავე # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქში, ჩვენს ორგანიზაციას პრობლემა შეექმნა საჯარო ინფორმაციის კანონის შესაბამისად მიღების დროს. კერძოდ, საარჩევნო ოლქიდან მიღებულ ინფორმაციაზე, რომესაც დანართის სახით ერთვოდა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არ იყო შესაბამისად დამოწმებული (ბეჭდით). აღნიშნული პრობლემა ვერ მოგვარდა „სამართლიანი არჩევნების“ ცენტრალური ოფისის ჩარევის შემდეგაც კი.

აქვე ხაზგასასმელია ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, კერძოდ, 3 ნოემბრის არჩევნებისთვის, რიგ საარჩევნო უბნებზე კომისიის თავმჯდომარეებად და მოადგილეებად არჩეულ იქნენ ის ადამიანები, რომელთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი საარჩევნო კანონმდებლობის უხეშად დარღვევასთან დაკავშირებით დასმული იყო 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნებზე და საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით მათ აკრძალათ მომავალ არჩევნებში საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეობა. მაგალითად: # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 49 საარჩევნო უბნის თავმჯდომარედ დაინიშნა პიროვნება, რომელსაც 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს მიეცა დისციპლინარული სასჯელი და აკრძალა მომავალ არჩევნებში საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეობა. აღნიშნული პიროვნება საპარლამენტო არჩევნების დროს იყო # 66 საარჩევნო უბნის თავმჯდომარე და მან მარკირება გავლილი ამომრჩეველი კვლავ დაუშვა საარჩევნო უბანზე. სწორედ ამ უბანზე მყოფ „სამართლიანი არჩევნების“ დამკვირვებელზე განხორცილდა ზეწოლა-დაშინება დამკვირვებლის მამის თანამდებობის დატოვების მუქარით. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით“² საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად არ შეიძლება აირჩეს/დაინიშნოს პირი, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევისთვის საარჩევნო კომისიამ ან სასამართლომ გაათავისუფლა საარჩევნო ადმინისტრაციაში დაკავებული თანამდებობიდან. ლოგიკურად ჩნდება კითხვა, რა კრიტერიუმებით იხელმძღვანელებს საარჩევნო ოლქებმა, როდესაც შერჩეულ იქნენ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები.

„სამართლიანმა არჩევნებმა“ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით 27 ოქტომბერს შეიტანა განცხადება # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქში და საარჩევნო კანონმდებლობის გათვალისწინებით მოითხოვა შესაბამისი რეაგირება. 31 ოქტომბერს ბათუმის საარჩევნო ოლქმა უარი განუცხადა „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელს განცხადების განხილვაზე, იმ მოტივით, რომ უბნის კომისიის წევრის არჩევის განკარგულების გასაჩივრების ვადა იყო 1 კალენდარული დღე და ჩვენმა ორგანიზაციამ

¹ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 16, პუნქტი 3.

² საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 18, პუნქტი 5¹



სამართლიანი არჩევნები

დაგვიანებით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიას. თუმცა აღსანიშნავია, რომ „სამართლიან არჩევნებს“ საჩივარი არ შეუტანია ამ ფაქტთან დაკავშირებით, არამედ განცხადების სახით მოახდინა ფაქტის კონსტატაცია, შესაბამისად, ამ შემთხვევაში საარჩევნო ოლქის მხრიდან ვადების დაცვა არ შეიძლებოდა გამოყენებულიყო უარის მიზეზად. რაც შეეხება კანონმდებლობის ვადების დარღვევას, იგი დაირღვა **# 79 ბათუმის** საარჩევნო ოლქის მხრიდან, რომელმაც 3 დღის დაგვიანებით გაგვცა ოფიციალური პასუხი „სამართლიანი არჩევნების“ მიერ შეტანილ განცხადებაზე.

გარდა ამისა, **# 79 ბათუმის** საარჩევნო ოლქის **6** საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც კომისიის თავმჯდომარეებად და მოადგილეებად არჩეული არიან პირები, რომელთაც 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს მიეცა დისციპლინარული სასჯელი - გაფრთხილება. კერძოდ: **# 1** საარჩევნო უბანზე კომისიის თავმჯდომარე აირჩიეს პიროვნება, რომელსაც საპარლამენტო არჩევნების დროს მიეცა გაფრთხილება, იმასთან დაკავშირებით, რომ მან უსაფუძვლოდ გააძევა საარჩევნო უბნის ტერიტორიიდან ადგილობრივი დამკვირვებელი; **# 66** საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პიროვნება, რომელსაც საპარლამენტო არჩევნების დროს მიეცა გაფრთხილება კომისიის წევრებს შორის წილისყრით გადანაწილებული ფუნქციების თვითნებურად შეცვლის გამო; **# 32** საარჩევნო უბნის თავმჯდომარის მოადგილე არჩეულ იქნა პიროვნება, რომ საპარლამენტო არჩევნების დროს მის საარჩევნო უბანზე აღინიშნა რამოდენიმე პროცედურული დარღვევა; **# 43** საარჩევნო უბანზე თავმჯდომარედ აირჩიეს პიროვნება, რომელმაც წინა არჩევნებზე იმავე უბნის თავმჯდომარეობის დროს მარკირება გავლილ ამომრჩეველს უფლება მისცა შესულიყო საარჩევნო უბანში, ამასთან საარჩევნო უბნის დახურვის შემდეგ ხმების დათვლის დროს უბანზე დაუშვა ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი, როცა უკვე აღარ შეიძლებოდა საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე შესვლა, ამასთან, ამავე უბანზე ამ პარტიის მეორე წარმომადგენელიც იმყოფებოდა; **# 55** საარჩევნო უბნის თავმჯდომარედ არჩეულია პირი, რომელსაც საარჩევნო ოლქის მიერ მიღებული აქვს გაფრთხილება, რადგან მის საარჩევნო უბანზე საპარლამენტო არჩევნების დროს ამომრჩეველმა ხმა მისცა ვადაგასული პირადობის მოწმობით; და ბოლოს **# 52** საარჩევნო უბნის ამჟამინდელ თავმჯდომარესაც მიღებული აქვს დისციპლინარული სასჯელი გაფრთხილება, რადგან საპარლამენტო არჩევნების დროს მის უბანზე დაფიქსირდა ყალბი პირადობის მოწმობით სხვის მაგივრად ხმის მიცემის ფაქტი.

სამწუხაროა, რომ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების დროს მიღებული გამოცდილება არ იქნა გათვალისწინებული ზედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიერ, რომელთაც საარჩევნო უბნებზე შეარჩიეს კვლავ ადმინისტრაციის ისეთი წევრები, რომელთა მიერ შესრულებული საქმიანობის დონე ძალიან დაბალი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად კრიტერიუმი საარჩევნო ოლქებისა და უბნების პროფესიონალი წევრების შერჩევის შესახებ არ არის მკვეთრად და ნათლად ჩამოყალიბებული. მათი შერჩევის პროცესი ხშირად დაჩქარებული წესით მიმდინარეობს, რაც სამწუხაროდ კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს არჩევნების გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის პრინციპით ჩატარებას.

წინასაარჩევნო გარემო

არჩევნების მოახლოებასთან ერთად წინასაარჩევნო კამპანია აქტიურ ფაზაში შევიდა. მონიტორინგის განხორციელების პერიოდში მოსახლეობასთან შეხვედრებით აქტიურობდა ერთიანი ნაციონალური

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

მომრავობა, გიორგი თარგამაძე - ქრისტიან-დემოკრატები და პოლიტიკური გაერთიანება „ქართული დასი“.

ამ ეტაპისათვის „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლების ინფორმაციით წინასაარჩევნო პერიოდში მშვიდ გარემოში მიმდინარეობს და ადგილი არა აქვს სერიოზულ დარღვევებს საარჩევნო სუბიექტების მხრიდან. თუმცა გარკვეული პრობლემები მაინც შეიმჩნევა. მაგალითად:

84 ხულოს საარჩევნო ოლქში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებმა სააგიტაციო მასალა უშუალოდ ოლქის შენობაზე გააკრეს. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 75 მუხლის, 4 პუნქტის მიხედვით აკრძალულია საარჩევნო სააგიტაციო მასალის გაკვრა სახელმწიფო ორგანოების შენობებზე.

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლების განცხადებით, **# 80 ქედის** საარჩევნო ოლქში ამომრჩევლებს მათთან შეხვედრას უკრძალავენ. მათი თქმით, მოსახლეობას აშინებენ და სამსახურებიდან გათავისუფლებით ემუქრებიან. ამასთან, აშინებენ, რომ თუ ისინი მხარს დაუჭერენ ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას, ვერ მიიღებენ შემის ვაუჩერს.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად გააქტიურდა ადგილობრივი ხელისუფლება და დაიწყო რიგი პრობლემების მოგვარება ადგილობრივი მოსახლეობისთვის. კერძოდ: წყლის მიღების დარიგება, საწვავისა ვაუჩერების დარიგება, გზების შეკეთება და ა.შ. ასევე, **# 84 ხულოს** საარჩევნო ოლქის გამგეობაში დაიწყო სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ფულადი დახმარებების გაცემა მოსახლეობის განცხადებების საფუძველზე.

ამომრჩეველთა სიები

ამომრჩეველთა სიების საკითხი კვლავ პრობლემატური რჩება აჭარის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 3 ნოემბრის არჩევნებისთვის. “სამართლიანი არჩევნები“ შეეცადა ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის დადგენას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მის თითოეულ საარჩევნო ოლქში, თუმცა ამის დადგენა მეტად რთული აღმოჩნდა. განსხვავებულია ცენტრალური საარჩევნო კომისიის, უმაღლესი საარჩევნო კომისიისა და საარჩევნო ოლქებში არსებული მონაცემები. ორგანიზაციამ გააკეთა ამომრჩეველთა სიების შედარებითი ანალიზი. იხილეთ, ამომრჩეველთა სიების განსხვავება ოლქების მიხედვით:

ოლქის დასახელება	ოლქის ნომერი	ცესკო-ს ვებ-გვერდის მონაცემებით ³	უსკო-ს ვებ-გვერდის მონაცემებით ⁴	ოლქის მონაცემებით
ბათუმი	79	98350	98906	98 308

³ <http://cec.gov.ge/?que=geo/elections-2008/by-elections&info=4401>

⁴ <http://sec.ge/index.php?page=shownews&id=83>

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

ქედა	80	15334	15326	15 335
ქობულეთი	81	66885	67118	67 160
შუახევი	82	15175	15164	15176
ხელვაჩაური	83	69608	71684	72 013
ხულო	84	23844	23823	23 945
სულ		289196	292021	

აღნიშნულის ცხრილის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საარჩევნო სიების სიზუსტესთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არსებობს პრობლემები. შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაციამ აქცენტი უნდა გააკეთოს სიების ერთხელ და სამუდამოდ სრულყოფაზე, როგორც ცენტრალურ ასევე ოლქების და რეგიონების დონეზე, რათა არ მოხდეს მონაცემების აღრევა და შესაბამისი კითხვის ნიშნების გაჩენა.

არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-14 დღისა⁵, 20 ოქტომბერს ამომრჩეველთა სიებში შესაბამისი ცვლილებები შეიტანა საოლქო საარჩევნო კომისიებმა. კერძოდ:

79 ბათუმის საარჩევნო ოლქი - სიიდან ამოღებულ იქნა **27** გარდაცვლილი; დამატებულ იქნა **40** გამოტოვებული ამომრჩეველი; გაკეთდა **2** შესწორება, **771** ამომრჩეველი (სამხედრო, ვადიანი და საკონტრაქტო მოსამსახურეები) მიმაგრებულ იქნა დისლოკაციის ადგილის მიხედვით სხვადასხვა საარჩევნო უბნებს; გარდა ამისა **570** ამომრჩეველია (სამხედრო, ვადიანი და საკონტრაქტო მოსამსახურეები) - **# 75 სპეციალურ უბანზე**.

#80 ქედის საარჩევნო ოლქი - სიიდან ამოღებულ იქნა **47** გარდაცვლილი, დამატებულ იქნა **35** გამოტოვებული ამომრჩეველი, გაკეთდა **13** შესწორება;

#81 ქობულეთი - სიიდან ამოღებული იქნა **268** გარდაცვლილი, შეყვანილი იქნა **25** გამოტოვებულები, გაკეთდა შესწორებები, უბნიდან უბანზე გადაყვანილი იქნა **1024** ამომრჩეველი, გაკეთდა **3** შესწორება, სიაში გამოტოვებული იყო და დაემატა **111** ამომრჩეველი;

#82 შუახევის საარჩევნო ოლქი - სიიდან ამოღებულ იქნა **59** გარდაცვლილი, დამატებულ იქნა **28** გამოტოვებული ამომრჩეველი, ერთი უბნიდან მეორე უბანზე გადაყვანილი იქნა **95** ამომრჩეველი, შესწორებულ იქნა **6** ამომრჩევლის მონაცემები;

#83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი - სიიდან ამოღებულ იქნა **146** გარდაცვლილი, ამომრჩეველთა განცხადების საფუძველზე დამატებულ იქნა **8** ამომრჩეველი, გაკეთდა **2** შესწორება;

#84 ხულოს საარჩევნო ოლქი - სიიდან ამოღებულ იქნა **86** გარდაცვლილი, დამატებულ იქნა **16** გამოტოვებული ამომრჩეველი.

კანონმდებლობის მიხედვით, ამომრჩეველთა სიის ცვლილებები საოლქო საარჩევნო კომისიებს 2⁶ დღის ვადაში უნდა გადაეცათ საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის, თუმცა რიგ შემთხვევაში

⁵ აჭარის ა/რ-ის კანონი «აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ», მუხლი 16, პუნქტი 6;



სამართლიანი არჩევნები

საარჩევნო უბნებს დადგენილ ვადაში არ მიუღიათ აღნიშნული ცვლილებების შემცველი განკარგულება. მაგალითად: # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 52, # 12, # 17, # 19, # 31, # 22 და # 27 საარჩევნო უბნები; # 83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 49 საარჩევნო უბანი.

83 ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქის # 33, კერძოდ თბილისის საარჩევნო უბანი ოლქის მიერ მოწოდებული საზღვრების მიხედვით უნდა იყოს სოფელ თბილისის სასოფლო კლუბში, თუმცა გადამოწმებით ცხადი გახდა, რომ რეალურად # 33 უბანი განთავსებულია სოფლის თემის საკრებულოს შენობაში. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით“⁷ საუბნო საარჩევნო კომისია არ უნდა განთავსდეს და კენჭისყრის ადგილი არ უნდა გამოიყოს იმავე შენობაში, რომელშიც განთავსებულია სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე არ არის სხვა, შესაფერისი შენობა-ნაგებობა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 23 ოქტომბერს # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქის # 31 საარჩევნო უბანზე გამოკრული იყო გადასატანი საარჩევნო ყუთის სია. საარჩევნო კანონმდებლობით გადასატანი საარჩევნო ყუთის სია დგება არჩევნებამდე ორი დღით ადრე, შესაბამისად # 31 საარჩევნო უბანზე მოხდა კანონის დარღვევა. აღნიშნული ფაქტი გამოსწორდა მხოლოდ „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ჩარევის შემდეგ და გადასატანი ყუთის სია ჩამოიხსნა საარჩევნო უბნიდან. სამწუხაროა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეების პროფესიონალიზმის საკითხი კვლავაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები

დამკვირვებელთა რეგისტრაცია

1 ნოემბრის მონაცემებით საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისათვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაცია გაიარა თორმეტმა საერთაშორისო ორგანიზაციამ:

1. აშშ საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი;
2. ბრიტანეთის საელჩო საქართველოში;
3. საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ცენტრი;
4. ევროკავშირის სამხრეთ კავკასიაში სპეციალური წარმომადგენლის ოფისი;
5. რუმინეთის საელჩო საქართველოში;
6. ევროკავშირის ევროპული კომისია;
7. აზერბაიჯანის საელჩო საქართველოში;
8. ამერიკის საელჩო საქართველოში;
9. ყაზახეთის ცენტრალური საარჩევნო კომისია;
10. პოლონეთის სეიმი (პარლამენტი);
11. ლიტვის რესპუბლიკის საელჩო;

⁶ აჭარის ა/რ-ის კანონი «აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ», მუხლი 16, პუნქტი 7;

⁷ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 2, პუნქტი 2.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



12. სომხეთის საელჩო საქართველოში.

და რვა ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ:

1. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება;
2. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;
3. ახალი თაობა - ახალი ინიციატივა;
4. ფონდი „სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი“;
5. სამართლებრივი განვითარების საზოგადოება;
6. საერთო-სამოქალაქო მოძრაობა „მრავალეროვანი საქართველო“;
7. საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირი;
8. კავშირი სრულიად საქართველოს საერო დარბაზი.

საარჩევნო ადმინისტრაცია

საარჩევნო გრაფიკის მიხედვით, არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-15 დღე⁸ არის ბოლო ვადა გამონაკლის შემთხვევაში საარჩევნო უბნის გახსნისათვის. შესაბამისად, 19 ოქტომბერს შეიქმნა ერთი საარჩევნო უბანი # 2 ვაკის საარჩევნო ოლქში - # 71 საარჩევნო უბანი; და ორი საარჩევნო უბანი # 8 დიდუბის საარჩევნო ოლქში - # 56 და # 57 საარჩევნო უბნები.

პირველი სხდომის დღეს, ახლადშექმნილმა საუბნო საარჩევნო კომისიებმა გამოაკრეს ამომრჩეველთა სიები და მათთან დაკავშირებული საჩივრის წესი კენჭისყრის შენობაში.

არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-14 დღისა⁹, 20 ოქტომბერს ამომრჩეველთა სიები განიხილა და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა მასში საოლქო საარჩევნო კომისიებმა. კერძოდ:

2 ვაკის საარჩევნო ოლქი - სიიდან ამოღებულ იქნა 2 გარდაცვლილი; გაკეთდა 6 შესწორება;

8 დიდუბის საარჩევნო ოლქი - სიიდან ამოღებულ იქნა 22 გარდაცვლილი ადამიანი.

კანონმდებლობის მიხედვით, ამომრჩეველთა სიის ცვლილებები საოლქო საარჩევნო კომისიებს 2¹⁰ დღის ვადაში უნდა გადაეცათ საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის, შესაბამისად # 2 ვაკისა და # 8 დიდუბის საარჩევნო ოლქებში დადგენილ ვადაში გადაეცათ აღნიშნული ცვლილებების შემცველი განკარგულება.

23 ოქტომბერს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს ჩაუტარდათ ტრენინგი საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით.

⁸ საქართველოს ორგანული კანონი, „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 16, ფუნქტი 3;

⁹ აჭარის ა/რ-ის კანონი «აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ», მუხლი 16, პუნქტი 6;

¹⁰ აჭარის ა/რ-ის კანონი «აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ», მუხლი 16, პუნქტი 7.



სამართლიანი არჩევნები

კანონით გათვალისწინებულ ვადაში მოხდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევა ორივე საარჩევნო ოლქში.

წინასაარჩევნო კამპანია

რაც შეეხება წინასაარჩევნო კამპანიას, ამ კუთხით დიდი აქტივობა არ შეინიშნება. როგორც ცნობილია საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას არ იღებს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. რეგისტრირებული კანდიდატებიდან ამომრჩევლებთან შეხვედრები გამართეს:

2 ვაკის საარჩევნო ოლქში - თამაზ კვაჭანტირაძემ (გიორგი თარგამაძე-ქრისტინ-დემოკრატები) და ლევან ასათიანმა (პოლიტიკური გაერთიანება “ჩვენ თვითონ”);

8 დიდუბის საარჩევნო ოლქში - გურამ ჩახვაძემ (პოლიტიკური ორგანიზაცია – ეროვნულ-დემოკრატიული პარტია(ედპ)) შეხვედრა გამართა # 100 საჯარო სკოლის პედაგოგებთან.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ წინასაარჩევნო პერიოდში გამოიხატა სამი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც განსაკუთრებით ეხება აჭარის ა/რ-ის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს და რომელიც ხელს შეუშლის არჩევნების გამჭვირვალედ და კანონის შესაბამისად ჩატარებას. პირველი, საარჩევნო ადმინისტრაციის არაკვალიფიციური მოხელეებით დაკომპლექტება; მეორე - ქვედა დონის საარჩევნო ადმინისტრაციების გაუმჭვირვალედ დაკომპლექტება; და მესამე - ამომრჩეველთა სიების პრობლემა - სიებში ამომრჩეველთა განსხვავებული რაოდენობა საარჩევნო ადმინისტრაციის სხვადასხვა დონეებზე.

„სამართლიანი არჩევნების“ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი დაფინანსებულია ეუთოსა და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს მიერ.

ამ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის „სამართლიან არჩევნებს“ და არ გამოხატავს ეუთოსა და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს ოფიციალურ პოზიციას.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0108 თბილისი
მ. კოსტავას ქ. #25

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 98 98 24

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge